**ივანე ჯავახიშვილის სხელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** კავკასიოლოგია / Caucasiology

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** კავკასიოლოგიის მაგისტრი / Master of Arts in Caucasiology

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 120 კრედიტი; პროგრამის საკვალიფიკაციო კურსები 30 კრედიტი, მოდულისათვის სავალდებულო კურსები 45 კრედიტი, არჩევითი კურსები 15 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი.

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამის მიზანი:** კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა შედგება 2 მოდულისაგან: 1) იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერება და არეალური ლინგვისტიკა; 2) კავკასიის ხალხთა ისტორია. კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს სიღრმისეულად შეასწავლოს ერთ-ერთი კავკასიური ენა, კავკასიის ხალხთა ისტორია და კულტურა, იბერიულ-კავკასიური, პალეოკავკასიური და არეალურ კავკასიურ ლინგვოკულტურულ ურთიერთობათა პრობლემატიკა; პროგრამის მიზანია, ჩამოაყალიბოს მკვლევარი კავკასიოლოგი ლინგვისტური და/ან ისტორიული მიმართულებებით, რომელსაც შეეძლება ამ დარგში არსებული პრობლემების გააზრება - გაანალიზება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. ამასთან, პროგრამაში ასახულია დარგისთვის წაყენებული თანამედროვე მოთხოვნებიც – კავკასიის გეოპოლიტიკისა და რეგიონალიზაციის, პოლიტოლოგიური და ქართული სახელმწიფოს სტრატეგიული განვითარების ხედვათა ა.შ. სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია, მისცეს მაგისტრს ღრმა და სისტემური ცოდნა კავკასიოლოგიის დარგში, მოამზადოს ლინგვისტი კავკასიოლოგი და ისტორიკოსი კავკასიოლოგი, აღჭურვილი იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და კვლევითი უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მის შრომით დასაქმებას როგორც სამეცნიერო არეალზე, ასევე პრაქტიკულ–გამოყენებით სფეროებში.

**სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს:

1. საერთო სამაგისტრო გამოცდა;
2. ბაკალავრის ხარისხი კავკასიოლოგიის, ისტორიის ან სხვა ფილოლოგიური და სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების დარგებსა და ქვედარგებში;
3. გამოცდა სპეციალობაში;

4. უცხოური ენის (ინგლისური/გერმანული/ფრანგული) ცოდნის არანაკლებ B1 დონეზე დადასტურება გამოცდით ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის წარმოდგენით (სამაგისტრო პროგრამის დამთავრებამდე B 2 დონემდე ენის ცოდნის გაუმჯობესების პერსპექტივით).

**პროგრამის შედეგები**

**ცოდნა და გაცნობერება:**
კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული სასწავლო დისციპლინების მასალის ათვისების საფუძველზე კავკასიოლოგიის მაგისტრს გააჩნია ზოგადად, რეგიონმცოდნის და კერძოდ, ლინგვისტური კავკასიოლოგიის ან ისტორიული მიმართულების კავკასიოლოგის დარგობრივი სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განათლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გაღრმავების და კვლევის კონტექსტში მისი გამოყენების, ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას აძლევს. მაგისტრს აქვს სიღრმისეული ცოდნა კავკასიის რეგიონის ისტორიისა და ლინგვოკულტუროლოგიური თავისებურებების შესახებ, იგი განსაზღვრავს კავკასიური ცივილიზაციის ეტაპებს, სხვა ცივილიზაციებთან შეხვედრის მომენტებს, თანამედროვე ტრანსფორმაციებს, მსგავსებებსა და განსხვავებებს მათ შორის, გამოკვეთს რეგიონის ფუნქციასა და პერსპექტივებს მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესების ფონზე. კავკასიოლოგიის მაგისტრი ფლობს სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; გაცნობიერებული აქვს კავკასიოლოგიის დარგის ინტერდისციპლინურობა, იცნობს სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს; დაუფლებულია სასპეციალიზაციო ენას (ერთ–ერთ იბერიულ–კავკასიურ ან არაიბერიულ–კავკასიურ ენას) რაც მას საშუალებას მისცემს ამ ენაზე შესრულებული ტექსტი გამოიყენოს კვლევებისათვის – როგორც ლინგვისტური ანალიზისათვის, ასევე ისტორიული წყაროების შესწავლის თვალსაზრისით. ასევე, ფლობს ერთ–ერთ ევროპულ ენას (ინგლისური/ფრანგული/გერმანული) B2 დონეზე საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი ჩარჩოს მიხედვით და შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება აკადემიური და კვლევითი მიზნებისთვის.
მოდული იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების და არეალური ლინგვისტიკა: აქვს კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი ენის ღრმა და სისტემური ცოდნა, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სხვადასხვა ჯგუფის ენობრივ სისტემებში საერთოსა და განსხვავებულის, ამოსავალი ფონოლოგიური სტრუქტურის ნამდვილი ვითარებისა და განვითარების მიმართულების შესახებ ცოდნა, სიღრმისეულად ერკვევა კავკასიის არეალური ლინგვისტიკის ღერძულ სფეროებში: კომპარატივისტულ-გენეალოგიური და ტიპოლოგიურ-კომპარატივისტული კვლევის პრინციპებში, ლინგვისტურ გეოგრაფიაში, ენობრივი კონტაქტების თეორიებში და სხვა;

მოდული კავკასიის ხალხთა ისტორია: კურსდამთავრებულმა იცის კავკასიის ხალხთა ისტორია ღრმად და სისტემურად, აქვს კავკასიის ხალხთა კულტურული თავისებურებების ფართო ცოდნა, იცის კავკასიაში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, ისტორიული მიგრაციის შედეგად ჩამოყალიბებული ეთნიკური დასახლებების (დიასპორების) ისტორია და ეთნოლოგიის ძირითადი საკითხები; ღრმად და სისტემურად ერკვევა კავკასიაში მიმდინარე გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პროცესების თავისებურებებსა და მნიშვნელობაში, ასევე რუსეთის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური და სოციალური ექსპანსიის პოლიტიკაში; ფლობს ცოდნას რეგიონის ქვეყნების (რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) დემოკრატიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესების განვითარების შესახებ.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს სპეციალობით შეუძლია ზოგადად რეგიონმცოდნეობის და კერძოდ, კავკასიოლოგის დარგობრივ სფეროში, როგორც ლინგვისტური, ასევე ისტორიული მიმართულებით კომპლექსური პრობლემების ამოცნობა/იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა დარგში მიღებული კვლევის მეთოდების გამოყენებით; ცოდნის გამოყენება ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში ან (მომიჯნავე) მულტიდისციპლინურ კონტექსტში; შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან ანალიტიკური ხასიათის პროექტის განხორციელება. პროგრამით მიღებული შესაბამისი ღრმა და სისტემური ცოდნის, უნარების საფუძველზე აქვს ლინგვისტური, ისტორიული და სოციალური პროცესების შეფასებისა და ანალიზის უნარი; ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.
კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია ერთ–ერთი ევროპული ენის (ინგლისური/ფრანგული/გერმანული) პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, აქვს საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები, ერთ –ერთ კავკასიურ და ერთ–ერთ ევროპულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების (მათ შორის, სამეცნიერო ლიტერატურის) წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. შეუძლია პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ამ ენების ფართო აკადემიური მიზნებისთვის ეფექტურად გამოყენება. შეუძლია სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრა სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენებით. კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად მაგისტრი შეძლებს ლინგვოკულტუროლოგიური და ისტორიული პრობლემატიკის კვლევას, ანალიზს, შეძლებს გამოაცალკევოს კონკრეტული თემა და მოახდინოს მისი კატეგორიზაცია. შეარჩიოს კვლევის მეთოდი, დაალაგოს არსებული მასალები, შეაპირისპიროს ისინი, კორექტულად მიუდგეს მათ, იკვლიოს, წარმოადგინოს დასაბუთებული არგუმენტირება.
**მოდული იბერიულ–კავკასიური ენათმეცნიერების და არეალური ლინგვისტიკა:** პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია კავკასიის ენათა კომპარატივისტული, დესკრიპციული, ტიპოლოგიური მეთოდების გამოყენებით კვლევა; კავკასიოლოგიის სხვა დისციპლინების მონაცემთა გამოყენებას ამა თუ იმ, მის მიერ დასმული პრობლემის საკვლევად და გადასაჭრელად;

**მოდული კავკასიის ხალხთა ისტორია:** შეუძლია ისტორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით კავკასიის ისტორიის პრობლემათა კვლევა; რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი მდგომარეობის კვლევა.

**დასკვნის უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია დარგისთვის დამახასიათებელი რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი; მას აქვს ცოდნის ინტეგრირების უნარი; შეუძლია განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი როგორც სტანდარტული, ისე ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; ზუსტი ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჯგუფური თუ დამოუკიდებელი მუშაობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების მონახვა.

**კომუნიკაციის უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია დისკუსიაში პროფესიულ დონეზე მონაწილეობა, თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების გაზიარება აკადემიური, სამეცნიერო და პროფესიული წრეებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე, მას შეუძლია ასევე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენება დარგობრივ სფეროში.

კავკასიოლოგიის მაგისტრს შეუძლია ერთ–ერთ კავკასიურ ენაზე და ერთ–ერთ ევროპულ ენაზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროს გამოყენება; სხვადასხვა თემაზე თავისი აზრებისა და შეხედულებების წერილობით მკაფიოდ ჩამოყალიბება; შეუძლია სამეცნიერო ანგარიშის და ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გავლის შედეგად მაგისტრს შეეძლება კავკასიოლოგიაში არსებულ ლინგვისტურ თუ ისტორიულ პრობლემატიკაზე სამეცნიერო კვლევის ჩატარება პროფესორის ხელმძღვანელობით და კვლევის შედეგების გამოყენება საკომუნიკაციოდ თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით. იგი შეძლებს თავად წარმართოს დისკუსია პრობლემურ საკითხებზე. იყოს საკითხთა დასმის ინიციატორი, შეძლებს კამათში საკუთარი პოზიციის არგუმენტირებას მეცნიერულად. შეძლებს მიღებული კვლევის შედეგების პრეზენტაციას ერთ-ერთ უცხოურ, მათ შორის ერთ–ერთ კავკასიურ ენაზე, შეაჯამებს მომიჯნავე კვლევების შედეგებს.

**სწავლის უნარი:** კავკასიოლოგიის მაგისტრს აქვს სამუშაო დროის სტრატეგიულად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის დამოუკიდებლად შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება. მას კარგად აქვს გაცნობიერებული ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით; საკუთარი სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებით მისი თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და მაგისტრატურაში მიღებული ცოდნისა და უნარების დარგობრივ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა; შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; მას აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

**ღირებულებები:** კავკასიოლოგიის მაგისტრს კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და ეთიკის სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

მას აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. კავკასიოლოგიის მაგისტრს გამოუმუშავდება კავკასიური ცივილიზაციის მიმართ

განსაკუთრებული დამოკიდებულება, მაგისტრის ინტელექტუალურ–მორალური ღირებულებები შეპირობებული იქნება შემდგომი მშვიდობიანი კავკასიის თანაცხოვრებისა და თანაარსებობის შესაძლებლობებით, მაგისტრი განსაზღვრავს საქართველოს (Hard land) როლს კავკასიის ინტეგრაციაში. მაგისტრი იცავს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს.

**დასაქმების სფეროები:** სამაგისტრო პროგრამის ათვისების შემდეგ ახალგაზრდა სპეციალისტს შეეძლება იმუშაოს სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში, ექსპერტ – კავკასიოლოგად, გამომცემლობებში, ტურიზმში, მასმედიაში და ა.შ.

**სწავლის გაგრძელების საშუალება:** უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე **PhD** (დოქტორანტურაში) სწავლის გაგრძელების მსურველ მაგისტრს საშუალება ექნება, სწავლა განაგრძოს კავკასიოლოგიისა და მომიჯნავე სპეციალობების სადოქტორო პროგრამებზე შესაბამისი სპეციალობით ნებისმიერი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლის შედეგების მისაღწევად კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის, სამაგისტრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 - 100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი № 1

**სილაბუსები:** იხ. დანართი № 2

**პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ცირა ბარამიძე, სრული პროფესორი ჯონი კვიციანი.

**დამატებითი ინფორმაცია:** კვლევითი კომპონენტი. მაგისტრანტს შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შერჩევა შემდეგი ზოგადი თემატიკის ფარგლებში:

1. იკე-თა ნათესაობის პრობლემატიკა;
2. იკე-თა სამეცნიერო შესწავლის ისტორიის საკითხები;
3. ცალკეულ ენათა ფონოლოგიური სისტემის, ფონეტიკურ პროცესთა, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი, სემანტიკური ველები;

4. ენათა ჯგუფების აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზი;
5. კავკასიის სხვა ენათა (ოსური, აზერბაიჯანული) სისტემა-სტრუქტურის საკითხები, არეალური ლინგვისტიკის პრობლემატიკა კავკასიაში;
6. პალეოკავკასიური ენათმეცნიერების საკითხები;
7. კავკასიის ისტორიული გეოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული პრობლემატიკა (ცალკეულ რეგიონთა და ეპოქათა მიხედვით);
8. ხალხთა მიგრაციის ისტორია (კავკასიის რეგიონთა და ეპოქათა მიხედვით);
9. ცალკეულ ეთნოსთა თუ ეთნოსთა ჯგუფების ეთნოგენეზისის პრობლემები;
10. კავკასიის ხალხთა შიდა და გარე პოლიტიკური ურთიერთობების ისტორია (რეგიონთა და ეპოქათა მიხედვით);
11. კავკასიის ხალხთა სოციო-კულტურული ანთროპოლოგიის საკითხები.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

1. ზარამიძე ცირა– სრული პროფესორი
2. კვიციანი ჯონი– სრული პროფესორი
3. ფარეულიძე როსტომი– ასოცირებული პროფესორი
4. ჩუხუა მერაბი – ასოცირებული პროფესორი
5. მაჭავარიანი ნანა – ასოცირებული პროფესორი
6. აბაშია რევაზი – ასისტენტ პროფესორი

**მოწვეული პროფესორები**

1. ს.ზედელაშვილი
2. ე. ასლანოვა
3. ტ. მახაური
4. ნ. არდოტელი
5. ლ. აზმაიფარაშვილი
6. რ. ლოლუა

**ენების ცენტრი**

1. უჯუხუ თამარი
2. ავიძბა ლეილა

**მომიჯნავე სპეციალობებიდან**

1. გოცირიძე გიორგი
2. ქურდოვანიძე თეიმურაზი
3. ჟუჟუნაშვილი გიორგი
4. ნიკო ჯავახიშვილის
5. მარიამ ჩხარტიშვილი

**სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** სასწავლო-კვლევით ბაზად გამოყენებული იქნება ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორიები, კავკასიოლოგიის ინსტიტუტის, არნ. ჩიქობავას კაბინეტ-მუზეუმის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკები, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბიბლიოთეკა, არნ. ჩიქობავას სახელობის კაბინეტ-მუზეუმი.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:** პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.